სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №83
(გამარტივებული შესყიდვა)

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლეილა გოგუაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს "რომა მოტორსი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **გიორგი ბალაძის** სახით, (ორივე ერთად ,,მხარეები“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.
1.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესრულებული სამუშაო“ / „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული **მიცუბიში ლ200 (MK-049-KM) მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების ასს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება და მასთან დაკავშირებული შესაბამისი სერთიფიკატის/დოკუმენტის გაცემის მომსახურების მოწოდება** (CPV 71600000 - ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **60,00 (სამოცი) ლარს;**
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო/გაწეული მომსახურება/ მოწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
4.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოს/გაწეული მომსახურების/ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.3.მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის / მომსახურების გაწევისათვის საჭირო მასალების/აქსესუარების/ მოწყობილობების ადგილზე მოწოდებას.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტენიკურ პირობებთან.

5.2. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო"-ს მძღოლი -დავით ნინიძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი, საგარანტიო პირობები

6.1. შესყიდვის მომსახურების მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

6.4. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის ქ., N 36, ბ. 34.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

7.2. სამუშაოების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

7.3. სამუშაოების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსი წარმომადგენელია:

ა) სააგენტოს მძღოლი - დავით ნინიძე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

8.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/ გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოზე/გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმალობაში.

8.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. სუბკონტრაქტორები

12.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14. ფორს მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
17.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	***შპს "რომა მოტორსი"***
საიდენტიფიკაციო კოდი - 445388054	*საიდენტიფიკაციო კოდი - 445520151*
ტელ: (+995) (422) 29 44 33	
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*მის: ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის ქ., N 36, ბ. 34*
საბანკო რეკვიზიტები:	***საბანკო რეკვიზიტები:***
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო საწარმო	ს.ს. ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი – TBCBGE22
ა/ნ – № GE24NB0330100200165022	*ა/ნ* – № GE43TB7290936080100004
დირექტორი	***დირექტორი***
_____ /ლეილა გოგუაძე/ ბ.ა	_____ /გიორგი ბალაძე/ ბ. *ა.*

Georgi Baladze 61001057163
Digitally signed by Georgi Baladze
Date: 2022.07.27 14:35:20